კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

მდებარეობს შემდეგ მისამართზე:
ივ. მაჩაბლის 5, I სართ.
თბილისი 380007, საქართველო

საფოსტო მისამართი:
ს/ყ 38
თბილისი 380005
საქართველო

ტელეფონი: (995-32-999987)
ფაქსი: (995-32-939178)

ელექტრონული მისამართი:
E-mail: iccn@iccn.ge
confpro@iccn.ge

Homepage: **http://www.iccn.ge**

Copyright © 2002 by ICCN

ICCN

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ეს პირველი დამოუკიდებელი პროფესიული ცენტრია კავკასიის ფეთქებადსაშიშ რეგიონში, რომელიც დაკავებულია სამეცნიერო კვლევებით, შუამავლური საქმიანობით, ეთნიური, რელიგიური თუ სოციალური კონფლიქტების კონსტრუქციული გარდაქმნებით და მშვიდობიანი მოგვარებით.

ცენტრი ანვითარებს თანამშრომლობას წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურინსტიტუტებთან, ხელს უწყობს რა პოსტსაბჭოთა სივრცეში პოსტტოტალიტარული გადასვლის, დემოკრატიზაციისა და ეროვნებათაშორისი შერიგების მძაფრ პრობლემათა კვლევას.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ICCN

International Center on Conflict and Negotiation

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი დამოუკიდებელი, არასამთავრობო კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრია, რომელიც 1994 წელს იქნა რეგისტრირებული საქართველოს რესპუბლიკაში, (სარეგისტრაციო მოწმობა № 1755, გაცემულია იუსტიციის სამინისტროს მიერ). ცენტრის მიზანია, გამოიკვლიოს და შეისწავლოს სოციალური, ეთნიური, პოლიტიკური და რელიგიური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები, მათი ადრეული გამოვლინების, კონსტრუქციული მართვისა და მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობანი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში არსებულ პრობლემებს. ცენტრის შექმნა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ჯონ და ქეთრინ მაკართურების ფონდმა ცენტრის დამაარსებელს გრანტი გამოუყო. პირველ ეტაპზე (1994/95 აკადემიური წელი) ცენტრის პარტნიორი იყო სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეიარაღებაზე კონტროლის ცენტრი. შემდგომ, კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი, როგორც მას თავდაპირველად დაერქვა, დამოუკიდებლად დებს ხელშეკრულებებს ორგანიზაციებთან. 1995 წლის შემოდგომიდან ცენტრი ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოსცემს ბიულეტენს „კონფლიქტები და მოლაპარაკებები“, რომლის პირველი ნომრები გამოვიდა „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს (სოროსის) ფონდის დახმარე-ბით. ცენტრი ასევე გამოსცემს ყოველთვიურ ბიულეტენს „ალტერნატივა“ (1998 წლიდან - „კონფლიქტის ალტერნატივა“, და არაპერიოდულ ჟურნალს „მონადა“. ცენტრს გამოცემული აქვს 6 მონოგრაფია, მათ შორის ე. ხოშტარია-ბროსეს „აფხაზეთის კონფლიქტის ისტორია“.

მმართველობა

ცენტრს ხელმძღვანელობს მმართველობა, რომლის თავმჯდომარეა დირექტორი. ცენტრს ეხმარება საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც გაერთიანებულნი არიან: ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი ნილ მაქფარლეინი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი ალექსანდრე რონდელი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი რეჯებ ჟორდანია, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ედიშერხოშტარია-ბროსე, ტოკიოში არსებული გაეროს უნივერსიტეტის პროფესორი ალბრეხტ შნაბელი და სხვ.

ცენტრის დამფუძნებელი წევრები

ცენტრის დამფუძნებელ წევრთა შორის არიან: სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეიარაღებაზე კონტროლის ცენტრის დირექტორი, პროფესორი დევიდ ჰოლოუეი, დედოფლის უნივერსიტეტის პროფესორი ნილ მაქფარლეინი (კანადა), კორპორაცია „პარტნიორები დემოკრატიული გარდაქმნებისათვის“ (აშშ) პრეზიდენტი, დოქტორი რაიმონდ შონჰოლნი, სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე.

„ყველა დიდი კრიზისისათვის საერთოა ის, რომ შეუძლებელია მათი დაძლევა, თუ არ შევიცვლით აზროვნების წესს“

ცენტრის დირექტორი და დამაარსებელია ფოლოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ხუციშვილი. იგი 1993-94 აკადემიურ წელს სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეიარაღებაზე კონტროლის ცენტრში მიწვეულ პროფესორად მუშაობდა, შემდგომ კი ეთნიური კონფლიქტების დარგში შტატგარეშე კონსულტანტად. 1995 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში პროფესორროჯერფიშერთან მოლაპარაკებათა კურსი გაიარა. 1993-94 წწ. ნატო-ს დემოკრატიულ ინსტიტუტების პროგრამის საქართველოში პირველი სტიპენდიატი იყო. მიღებული აქვს გრანტები ფონდებიდან: აირექს/კარნეგი (1993), მაკართური (1994), სოროსი (1995); ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი უკრაინის მეცნიერებათა აკადემიამ მიანიჭა (1991) წიგნისათვის „თეორიული აზროვნების სტრუქტურის გენეზისი“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1989). გ. ხუციშვილი 1992-93 წელბში კონსულტირებას უწევს საქართველოს მთავრობას, გაეროს წარმომადგენლობას და ევროთათბირის მისიას საქართველოში; იგი პირველი ქართულ-კანადური ერთობლივი კონფერენციის „ეთნოკონფლიქტი და ფედერალიზმი“ თანაორგანიზატორი-მომწყობია (თბილისი, 1993 წლის მარტი), საერთაშორისო კონფერენციის „ერთობა, კონფლიქტი და პოსტსაბჭოთა რეალობა“ ინიციატორად გვევლინება სტენფორდის უნივერსიტეტში (1993 წლის 15 ნოემბერი). 1996 4-6 ოქტომბერს თბილისში ნატოსთან ერთობ-ლივად ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია “კავკა-სიისათვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის“. იყო საქართველოს ფილო-სოფიურმეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ვიცე-პრეზიდენტი (1995-97 წლებში). მისი პუბლიკაციების დიაპაზონი მოიცავს მხატვრულ-ფსიქოლოგიურ ნაწარმოებებს, მეცნიერების მეთოდოლოგიისა და ფილოსოფიის, საერთაშორისო ურთიერთობათა და კონფლიქტთა სისტემურანალიზს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სამართლის ფაკულტეტზე კითხულობს კონფლიქტის თეორიის კურსს.

ისტორია

კონფლიქტების მოგვარების ცენტრის შექმნის საკითხი პირველად თბილისში გიორგი ხუციშვილმა 1989 წელს დააყენა, მაგრამ 1992 წლამდე ის მხოლოდ მეცნიერთა დამოუკიდებელ ჯგუფს წარმოადგენდა. 1992 წელს ცენტრი პირველად შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტში. 1993-94 წწ., გ. ხუციშვილის სტენფორდის უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, მაკართურების ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება, მხარი დაეჭირა საქართველოში დამოუკიდებელი ცენტრის შექმნისათვის.

საერთაშორისო ეიდვაწეობა და ერთობლივი პროგრამები

ცენტრმა ჩამოაყალიბა საქართველოში კონფლიქტების ადრეული გამოვლენისა და მონიტორინგის პირველი ქსელი (NEWMEC), მაკართურების ფონდის გრანტით. ცენტრი ახორციელებს საქართველოში კონფლიქტების მოგვარების დარგში ტრენინგების პროგრამას (ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსაგან მიღებული გრანტით), ქართულ-აფხაზური დიალოგის პროგრამას, ევროკავშირის Tacis-ის დახმარებით, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია International Alert-თან პარტნიორობით. მონაწილეობდა პროგრამაში „ეთნიურობა და ევროპის უშიშროება“, რომლის კოორდინატორი იყო ქ. კინგსთონის დედოფლის უნივერსიტეტი (კანადა). აგრეთვე, ცენტრი გაერთიანებული იყო პროექტში „ჰუმანიტარიზმი და ომი“, რომელსაც კოორდინირებას უწევს თომას უოთსონის სახელობის საერთაშორისო გამოკვლევათა ინსტიტუტი (ბრაუნის უნივერსიტეტი, აშშ). ქართულ-ოსური დიალოგის ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერწამოწყებულ პროგრამაში (1995-96). ცენტრი თანაკოორდინატორია ბრაუნის უნივერსიტეტის პროგრამისა „ყოფილი საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაცია თუ რეინტეგრაცია“. ცენტრი საქართველოში წარმოადგენდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეთნოლოგიური მონიტორინგისა და კონფლიქტების ადრეული გამოვლენის საერთაშორისო ქსელს.

კვლევითი პროექტები და საქმიანობა საქართველოში

ცენტრი გამოსაქვეყნებლად ამზადებს და ფინანსურ დახმარებას უწევს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მეცნიერთა ჯგუფების პროექტებს. რომელთა მიზანია, ხელი შეუწყონ დემოკრატიულ პროცესებს, კონფლიქტთა ანალიზსა და მათი მშვიდობიანი გადაწყვეტის მეცნიერულ შესწავლას საქართველოსა და კავკასიის რეგიონში.